

შინაური საქმეები

№ 34.

კვირა, დეკემბერი 6, 1909 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

აღრმისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

უკველკვირული გაზეთი.

შინაური: ქუთაისი 6, დეკემბერი; მოსკოვის გზაზე შემდგარი ეკლესია—სეფევილი; როგორ შევიქნენ ისევ მორწმუნე?—მღ. დ. ლოლაბერიძისა; შესაძლებელია, რომ თანამედროვე განათლების მოაზრე კაცს სწამდეს ღვთაება იესო ქრისტისი?—ნაცარყანელისა; რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები ბიბლიის შესახებ—ო. მწირისა; აკაკის. (მილოცვა)—ქაიხოსრო გელოვანისა; დათიას შვილები (ლექსი)—რ. საჯავახოელისა;

უკველკვირულ გაზეთი
„შინაურ საქმეებს“
ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთაძო—კახაკოვის შესახვევში № 17) და სკეპარქია სსბჭოში.
წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.
გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.
დარჩენ. №17 ახალი ხელის მომწ. დაეთ. 1 მ. ღ 50 კ.

ქუთაისი, 6 დეკემბერი.

ქალაქის საავთმყოფოში ავთმყოფები ხრამულივით აწყვია. მსურველები კიდევ ბევრია, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ვეღარავის ღებულობენ. სჩანს საჭიროება არის ასეთ დაწესებულებაში, სჩანს განსვენებული ს. თოფურია მიხვდა დროთა სასწაულს, რომ დაარსა დიდებული სამკურნალო და საავადმყოფო. სჩანს, მაგრამ ვინ არის დამკმაყოფილებელი ამ საჭიროებისა? უწინდელ დროში ეკლესიები და მონასტრები აარსებდნენ ასეთ დაწესებულებებს; საშვალეებად ჰქონდათ—მორწმუნეთა უხვი შეწირულება. დღეს კი, როდესაც ხალხი გაურ-

ბის ტაძრებს და არა თუ იქით აძლევს რამეს, არამედ აქეთაც ბევრს ართმევს ამაზე ფიქრი მეტია. რა საავთმყოფო უნდა გააკეთოს, მაგ., ვთქვათ, ჩვენს ქუთაისის საკრებულო ტაძარმა, რომლის შემოსავალი ორი ღერი ჩხირსა თელით განიზომება და რომელსაც იმდენი ვერა უშო. ნია რა, რომ გალავან შემოირტყას და თავი დაიცივას უზნებობებუქებისაგან, რომლებიც ფეხის აღადგად ხმარობენ მის მოხვეულებს, ან დამაწანწალა ძაღლების ძვლების სახრებუნავად არ გადიქცეს. ის კი არა, შიშით ძვირფასი ხატებიც ვერ დაუსვენებიათ ტაძარში და კასსაში აქვთ ჩაკეტილი. გალატაკდა ტაძრები და მონასტრები; მათ აღარ აქვთ შეძლება გაუწვდინი ხელი ამგვარ ავთმყოფ მოძმეებს. ეხდეს მოვალეობა ქალაქის სხვა და სხვა სქველმოქედო დაწესებულებებში მიიღოს თავის თავზე. ბევრგან, რა თქმა უნდრიგიანათ არის მოწყობილი ავთმყოფების მოვლა-პატრონობის საქმე, რასაუბედუროდ არ ითქმის ჩვენ ბერქუთაისზე. ჩვენ იმას არ მოგახსენებ რომ არსებულ ქალაქის საავთმყოფო სისუფთავე დასასმელ-საქმელი აკლდეს თუმცა ამ მხრითაც ბევრს სანატრულ გვიტოვებს, მაგრამ თავი და თავი ნაკლის გახლავთ, რომ ყველას ვერ აკმაყოფილებს და ეს თვით სადგომის სივი

ულის ბრალია. საჭიროა ხადგომის გა-
 კართობა, რომ ავადმყოფებმაც თავი-
 უფლად ამოისუნთქონ. ამ მხრით სწო-
 რად ვით შესანიშნავი იყო თოფურის სეუ-
 რის საავათმყოფო, რომელიც, არ ვიცით
 ნატომ, დაიწუნა ქალაქმა. ეხლაც ური-
 გო არ იქნება მიუბრუნდებოდეს ძველ
 ჰლავს. მართალია დღეს ბანკის ხელშია
 ის მამული, მაგრამ ნუთუ შესაძლებელი
 არ არის ქალაქისათვის, რომ ბანკი უზ-
 უფველჰყოს ხვედრი გადასახადის შეტა-
 რათ? ავადმყოფებიც ხომ ფულს შემოი-
 ტანენ და ჩვენ გვგონია ქალაქს არაფერი
 დადახდება, თუ არაფერი დარჩება. ბან-
 კის მხრითაც ურიგო არ იქნება, რომ
 ეს საყვარელი ადამიანის სეული სახლი
 გვლად უსასყიდლოდ დაუთმოს ქა-
 ლაქს; არც ის იქნება ურიგო, თავად-
 აზნაურობა მოხსნიდეს ამ სახლს ბანკის
 ფულს და ისე გადასცემდეს ქალაქს სა-
 ვათმყოფოთ. ქ. ქუთაისი ხომ ერთად
 მისი საექიმო ქალაქია ჩვენი ღარიბ
 ავად-აზნაურთათვის. და რავდენია მათ-
 ში ისეთებიც, რომლებსაც ქუთაისში
 ამოსვლაც კი ეძნელებათ და ავადმყო-
 ვის ექიმობას ვილა სჩივა. ასეთ ღარიბ
 არათათვის თავად-აზნაურობას ნაცვლად
 ავადმობისა შეუძლია რამდენიმე უფასო
 დოკტორი იქონიოს საავათმყოფოში.

ამბობენ ამ სახლს უვარგისად ცნო-
 ვენ ექიმებიო და ერთხელ ჯვარიც დაუ-
 ნკეს ზედაო. მაგრამ იმედია ჯვარს ისევ
 იხსნიან რადგან უკეთესი არსადა გვა-
 ქს და არც ველით ახლო მომავალში.

**მოსპობის გზაზე შემდგარი
 ეკლესია.**

რუსეთის სახელმწიფოში სამღვდლო პი-
 თათვის მოსამზადებელ საშუალო სასწავლებ-
 ლსად ითვლებიან სასულიერო სემინარიები.
 ენცა გვაქვს ქ. თბილისში სემინარია. მარ-

თალია, თბილისის სემინარია არც აქამდე
 იძლეოდა სამღვდლო კანდიდატების საკმაო
 რიცხვს, მაგრამ ცოტას მიიღებოდა, ამ
 ბოლო დროს კი მან სრულებით პირი შეი-
 კრა და ზურგი აქცია ეკლესიას. აგერ ოთხი
 წელიწადი სრულდება, რაც აღარც ერთს
 ჩვენ ეპარქიაში აღარ კურთხეულა მღვდლად
 სემინარიელი კურს დამთავრებული ახალგაზრ-
 და. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხელის აღება
 სემინარიელების მხრით საეკლესიო სასახურ-
 ზე არის საბოლოო, სამუდამო და არა გარდა-
 მავალი, არა დროებითი, არა უბრალო შემ-
 თხვევით გამოწვეული.

მრავალი უბედურება, მრავალი უკუღმარ-
 თობა, ბევრი ბოროტება და განსაცდელი
 მოუთმენია, აუტანია და უნებლიეთ შეუგუ-
 ებია კიდევ ძველად ბედშავ საქართველოს,
 მაგრამ ეკლესიის მსახურთათვის მოსამზადე-
 ბელი დაწესებულებანი რომ მოსპობილიყვნენ,
 საქართველოში რომ დაშრეტილიყოს ღ გამქრა-
 ლიყოს სამღვდლო პირთა აღსაზრდელად ანთე-
 ბული ლამპარი და ასეთ გარემოებას რომ უკი-
 დურესად არ შეეწუხებინოს მეფე, ერი და
 სამღვდლოება, ასეთ მოვლენას რომ გულ-
 გრილად შეხვედროდეს რომელიმე ნაწილი
 ქართველი ერისა, ამისი მაგალითი, რავდენა-
 დაც ვიცით, არ ყოფილა ჩვენს ისტორიაში.
 მორწმუნე ერი მოითხოვდა ღირსეულ სულიერ
 მოძღვრებს და არ იცოდა შერიგება ეკლეს-
 იის მსახურთა უფიცობასთან.

დღეს რაღას ვხედავთ?
 დღეს ერისა და ეკლესიის წარმომადგენ-
 ლთა შუა ჩამოშვებულა შვიი ფარდა, ეკლესიისა
 ღ სამწყსოს შორის ამართულა შუა კედელი, იმო-
 დენა მანძილით დაშორებია ერი ეკლესიას, რომ
 სულაც აღარ დაეძებს პირველი მეორეს გა-
 კივრებას და მდგომარეობას, უბრალო ყურა-
 დების ღირსადაც აღარ სთვლის ერი შეი-
 ტყოს, რა განვითარებისა, რა მომზადებისა
 და ცოდნის პატრონები არიან ეკლესიის
 წარმომადგენლნი, ეკლესიის მოსამზადებელი
 და მუშაკნი. ოთხი წელიწადი საქართველოს
 ეკლესიის სამღვდლოთა წრეები, იყვება განუვი-
 თარებელი, მოუმზადებელი უფიცი და უსწავლე.

ლი პირებით, ოთხი წელიწადია ჩვენი ეკლესია განიცდის ისეთ უკიდურეს მდგომარეობას, რომლის მსგავსი არასოდეს არ გამოუცდია მას თავის მრავალ საუკუნოვან ცხოვრებაში და მისი ასეთი განსაკუთრებითი მდგომარეობა არავის ყურადღებას არ იზიდავს, არავის არ აფიქრებს, არავის არ აღვლევს სულით და არავის არ იწვევს უბედურობასთან გასამკლავებლად!

ყველა ეს, სხვათა შორის, უძლიერესი საბუთი და უმკერმეტყვილესი დამტკიცებაა სემინარიის სასწავლო პროგრამის სავსებითი კოტროლისა და ეკლესიის სამსახურისათვის უვარგისობისა. სემინარიას რომ რამე სიკეთე სჭირებოდა, უეჭველად ამ სიკეთეს სემინარიელი მღვდლები ხალხში შეიტანდნენ, ხალხს გაუღვიძებდნენ განათლების შეძენის სურვილს, შეაყვარებდნენ ღვთის სიტყვის, ქადაგების სმენას, აღუძრავდნენ ზნეობრივი ცხოვრებისადმი მიდრეკილებას და ეხლა რომ მათი ალაგი უსწავლელებმა დაიქირეს, ხალხი შენიშნავდა ცვლილებას, იგრძნობდა, რომ მას მოაკლდნენ სინათლისა და წინ სვლის მუშაქნი, შესწუხდებოდა ამ გარემოებით და უსათუოდ აიმაღლებდა მათ სასარგებლოდ ხმას, მაგრამ არასფერს ამის მსგავსი ხალხი არ ჩადის იმიტომ, რომ მას სემინარიელებისაგან იმაზე მეტი არა უნახავს რა, რასაც ხედავდა უსწავლელ მღვდლებში. თვით ცხოვრება ღაღადებს: სემინარიელებისა შე არც მოსილა გამოგია და არც წასილაო. ცხოვრება, რეალობა, სინამდვილე მკაფიო და მოკლეა თავის დასკვნებში და ბრალი იმისი, ვინც ვერ აუღებს აღლოს ამ დასკვნებს, ვინც ვერ შეიგნებს მათ აზრს.

არარაობა მუდამ არარაობად დარჩება. მაშასადამე სემინარიელებმა რომ კიდევ პირი იბრუნონ ეკლესიისაკენ და კვლად მღვდლობა იკისრონ, ამითი ჩვენი ერის სარწმუნოებრივ ცხოვრებას ფრჩხილის ოდენიც არა შეეძინება რა, ერთ ნაბიჯსაც ვერ წავდგავთ წინ ზნეობრივად და ჩვენი ეკლესია ისევ დღევანდელ უმწურო მდგომარეობაში დარჩება. მაშ რავექნათ?

ყველა საქმის შეგნება და გაგება უნდა, ყოველი საქმე მაშინაა გამარჯობული და ნაყოფიერი, როდესაც მას ამოქმდიბენ დახელოვნიბული გონიერი. მკოდნი და პატროსანი მუშაქნი. თუ ეხლავე არ შეუდგქით ღირსეული სამღიდელო პირების შექმნას, თუ ეხლავე არ შეგქენით ისეთი დაწესებულემა, რომელსაც ექნება საშუალემა მოგვეცეს უსათუოდ მორწმუნე, სპეტაკი ზნეობის, გონება განვითარებული, ხალხის მოსიყვარულე და ერთგული სამღვდელო პირები, დათვლილია ჩვენი ეკლესიის დღეები, — ერთი ან ორი ათეული წლის შემდეგ ხალხი მთლად დაშორდება მას და ამითი გათავდება მისი არსებობა. ჩვენს მდგომარეობაში თავს ვერ ვინუგეშებთ იესო ქრისტეს სიტყვებით „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას“ო. ამ სიტყვებს სულ სხვა აზრი აქვთ და კერძო ეკლესიას არ შეეხებიან, თორემ ასე რომ იყოს არც აქარა-ქობულეთ-ლაზისტანში გამეფდებოდა მაჰმადის ყორანი.

ჩვენ უნდა შეგქნათ სასწავლებელი, თავისუფალი ყველა იმ ნაკლულეფანებათაგან, რომლებიც უკარგავენ სასულიერო სემინარიას მნიშვნელობას ეკლესიისათვის.

კვერცხიდან რომ წიწილა გამოიჩეკოს, საქიროა მისთვის თბილი და მყუდრო საბუდარი. სარწმუნოებრივი გრძნობის გაღვიძება-განვითარებასაც კაცის არიებაში ყველაში პირიელად ესაქიროება უსათუოდ უნდაბამი ალაგი. თბილისი და მისთანა ქალაქები ამ მხრივ ყოვლად გამოუსადეგარნი არიან. ყოველივე ყურება და მონაწილეობის მიღება იმისთანა ცხოვრებაში, რომელსაც ნიშანწყალიც არ ეტყობა ქრისტიანობისა. ცხოვრება ისეთ დიდებულ სასახლეში, სადაც ფეხის ალაგებიც კი ელექტრონით არიან განათებულნი, საქმის ქონება ისეთ მეუფროსეებთან, რომლებიც ყელამღე ფუფუნების მორვეში დატივტივებენ, თქვენც დამეთანხმებით, ისეთი პირობებია, რომ ვერავის ვერ გაუღვიძებენ სარწმუნოებრივი მოღვაწეობის სურვილს და ვერავის ვერ აფიქრებინებენ ღარიბსა, ბნელსა

და ცხოვრებას ჩამორჩენილ სოფელში მღვდლად წასვლას. ჩვენი ძველი დიდებული მონასტრები — აი სად უნდა იყოს მოთავსებული მომავალი სამღვდლო პირთათვის მოსამზადებელი სასწავლებელი. მარტო მათი საუცხოვო მღებარეობა, გასაოცარი ხელობის ტაძრები და მათში დაცული იშვიათი ღირებულობის ისტორიული ნაშთები ისეთი რამეა, რომ არ შეიძლება სასიკეთო გავლენა არ იქონიონ მნახველებზე.

იტყვიან უდაბნოებში განათლებული მასწავლებლები არ წავლენო. რატომ? განა სერიოზულ მეცადინეობას, გონებრივ შრომას, მეცნიერულ კვლევა-ძიებას ქუჩა, ბაზარი, ყრიამული და ორონტრიალი მეტად უყვარს და მეტად ხელს უწყობს, ვიდრე მარტოობა, სიწყნარე და მოსვენება? განა ნამდვილი გონებრივი მუშავნი მართლა მეუ საბნოესავით არ ცხოვრობს თვით ქალაქშიაც? არა, სენინისიერი შრომისათვის ალაგის სიუდაბნოე იდი ხელ შემწყობი პირობაა და არა ნაყლი, ა დაბრკოლება. თუ ფასს გავიღებთ, უდაბნოში უფრო განათლებული პირები წაილენ, ვიდრე დღევანდელი სემინარიისა და გიმნაზიის მასწავლებლები.

ყოველი საგანი, რომელიც კი რამენაირათ შეეხება მღვდელობის მოვალეობას. უნდა ისწავლებოდეს მარტო სამშობლო ენაზე, ეროვნული კილოთი და ხალასი, შეუბღალავი ეროვნული გემოვნებით.

ძალა-მოსილება და გავლენიანობა ძველი ქართველი სამღვდელოებისა უნდა მიეწეროს, სხვათა შორის, იმ გარემოებას, რომ სამღვდლო საგნების ზედმიწევნითი ცოდნასთან ერთად მას კარგად გაეგებოდა აგრეთვე მეურნეობა და მეურნალობა. დღესაც, მღვდელმა რომ ნამდვილი მამობა გაუწიოს მრევლს, ნამდვილათ რომ მოიგოს ხალხის გული, უსათუოდ საჭიროა ხელი შეუწყოს და ასწავლოს თავის მოწაფეებს პირველად საარსებო ლუკმის შეძენის იოლი, სუბუქ და გონიერი ხერხი და მეორედ აღმოჩნდეს მათ ავადმყოფობის დროს ნამდვილ მეგობრად წამლობითი დახმარებით. ამიტომ განზრახული სასწავლე-

ბლის პროგრამაში საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად ფართო ალაგი უნდა ჰქონდეთ დათმობილი სოფლის მეურნეობას და ექიმობას. ამ მხრივაც მონასტრები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, საუკეთესო პირობებში იმყოფებიან, რადგან მათ ჯერ კიდევ კარგა ძალი ადგილ-მამული შეჩვენია, და მასთან არც სამუშაო იარაღებით და საქონლით არიან ღარიბები.

ასეთია, ჩემი მოსაზრებით, გზა, რომლითაც უნდა შეაუღავეთ ჩვენი ეკკლესიის აღდგენის შრომას. აქ მხოლოდ საქმის უმთავრესი მხარეები აღვნიშნეთ. დანარჩენები, როგორც მაგალითად, პროგრამის დეტალური შემუშავება, ხარჯთ აღრიცხვა, მოწაფეთა მიღების წესები და მისთანებები არაფერ სიძნელეს არ წარმოადგენენ და მათზე ეხლა სიტყვის გაგრძელება უალაგო იქნება.

შესაძლოა ბევრ რამეში ვცდებოდეთ. ბევრში არ დამეთანხმოს მკითხველი, მაგრამ თვით საგანი — სამღვდლო პირთათვის შესაფერი სასწავლებლის უქონლობა. — რომ პრინციპიალური მნიშვნელობისაა, რომ უამგარისასწავლებლოდ ეკკლესია მიექანება მოსპობის უფსკრულისაკენ, ამაზე, ვგონებ, არავინ აგვიხირდება. ჩვენი ეკკლესიის სავალალო მდგომარეობას მსჯელობის მთავარ საგნად არ გაიხდიან საეპარქიო კრების წევრები?!

სეფეველი.

როგორ შევიქნენ ისევ მორწმუნე?

(რუსულიდან).

ცოდნის მოვეარე განება აღამიანის, რომელსაც სურს შეგნებულად შეხედოს თავის თავს და მის კარშემა მყოფ ქვეყნაერებს, უაყელთვის ეძლეოდა კითხვებს: საიდან არის ეს ქვეყანა? ვინ განაგებს მას? რა არის აღამიანი? რისთვის ცხოვრობს ის და როგორ უნდა იცხოვროს მან?... მაგრამ უოველავე ცდა სსხსხლად ამ კითხვების თავდაება და თავდება სრულ დაშარცხუაით

და მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი უწინდებურად დაუკმაყოფილებელი ურჩება ეველას, ვინც ასახსნელად მათთან (კითხვებ—ეჭვებთან,) არ მიმართავს ერთად ერთ წყაროს ჭეშმარიტებისს—სწავლასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესას.

სამწუხაროა რომ ჩვენი საუკუნის მრავალ განათლებულ ადამიანებთან, რომელთაც იციან სახელები თითქმის ეველა წარმართ ღმერთებისა და სკანდალური ზღაპრები მათ არმიუფელ გვირობაზედ, იციან ცხოვრება და საქმენი შეფუთა და ფილოსოფოსთა ძველის საბერძნეთის და რომისა, რომელნიც, ეცნობებიან განსაკუთრებული სიფარულით აკრძალულ (ჩვენში) საუფოს საზღვარგარეთელ ღვთის უარყოფელ მწერლობისას, არ იცნობენ სახარებას, არ მოიცილიან რომ შეგნებულად წაიკითხონ ის.

გიომც და გასამართლებლად სახარებისადმი თვისი უუურადღეობისა და გულგრილობისა, ასეთი ადამიანები ხშირად ამბობენ, რომ სახარებაში დასტურდია მხოლოდ იდეალი, რომლისადმი უნდა ღტობიყავ—მისწრაფება, მაგრამ ის არის იდეალი მიუწოდებელი, რადგან მისს მისაღწევად წინადაგებულნი საძვალეებანი ადმატებიან ადამიანთა ძალას და რომ საზოგადოთ ბევრი რამ სახარებაში ბუნდოვანი და გაუგებარია.

ასე მოლამზარაკე ადამიანებს ან სულ არ უკითხავთ სახარებას, ან უკითხავთ ზერეფეთ, ჩაუფიქრებლად, თორემ არ დაიწყებდენ ხალკს ფრაზების გაშეორებას.

—ვინც შესწავლია რწმენა ღვთისა, ვინც დაკარგა ბავშური სარწმუნოება მაზედ მას, შეუძლია დაიბრუნოს ის მხოლოდ გზიერების დახმარებით ან მაზედ მომხდარ რაიმე სასწაულით; მაგრამ, რადგან ურწმუნონი არ არიან ღირსნი, რომ სასწაული მოხდეს მათზედ უარყოფილ მათგან ღვთისაგან, ამისთვის მათთვის რჩება მხოლოდ ერთი გზა: გონება-ზრით მიაღწიონ ღვთის რწმენას.

მე ვამბობ ასე საკუთარ გამოცდილებით. წარსულ საუკუნის შესაძობელ წლებში სამწუხაროთ მე თვითონ მხოლოდ ერთადერთი გატაცებული გავრცელებულ მამინ განათლებულ ადამიანებში უდეთობით და ბევრნი წლები ვიცხოვრე მე ღვთის უარისყოფელი. დაკარგე რა რწმენა ღვთისა, მე ვგრძობობდი მაინც, რომ გზიერა ცხოვრების სისრულისთვის

მე რაღაცა მაკლავ, რომ ნაცვლად გამქრალი სარწმუნოებისა დამჩნა რაღაც სიცალოერე, რომ მატერიალისტების მოძღვრება არ მაკმაყოფილებს მე, არ იძლევა ის გზიერულ ცოდნას არც ჩემთვის და არც გარეშე ქვეყნაერობისას და ამ სიცარიელეში, ამ მარტოებულმა ჩემმა ცხოვრების უშიზნობამ და უაზრობამ მაძიელა მე დაბოლოს, და ვფიქრებულებივარ და საფუძვლიანად გამეცნო სახარება.

სასარცხოდ ჩემდა (და განა მარტო ჩემდა?) არც გამზახილგან, არც უნივერსიტეტიდგან მე არ გამოვიტანია ჭკროვანი ცოდნა სარწმუნოებისა რომელსაც ოფიციალურად აღვიარებდი. ამისთვის შევეუდქე რა ამ ნაკლის შევსებას, მე ასე ვმსჯელობდა ყოველივე თავიანთ ცოდნას ღმერთზე და ადამიანი დანიშნულობაზე ქრისტეანები იღებენ სახარებიდგან მაგრამ რა წაგნია ეს წიგნი? ვინ და როდის შეადგინა იგი? შეიძლება დანდობა მაზედ? ყალბ ხომ არ არის იგი?

ასეთი კითხვების აუცილებლობამ მაძიელა პირველად ყოველისა შემეტეო ქრისტეანეთაგან ცნობილი სახარებანი ნამდვილ იმ ზირობაგან არის დაწერილი რომელთა სახელებსაც ატარებენ?

გულსმოდგინე ვაცნობამ ამ კითხვის მასხარებთან მიმიყვანა მე რწმუნებისადმი, რომ სახარებები მართლაც დაწერილია ზირველ საუკუნე ქრისტეს შობას აქეთ მოციქული მათე და იოანე საგან, პეტრე მოციქულის მოწაფის მარკოსისაგან და მავლე მოციქულის თანამგზავრ ლუკასგან.

ვიცნა რა სინამდვილე სახარებებისა, მე ჩაფიქრდი მეორე საკითხს: შეიძლება ვიცნათ მოხდარათ ყოველივე ჩაწერილი და მოთხრობი სახარებაში? მტკიცე გამოკვლევაში ამ საკითხისადმი მიმიყვანა მე დამტკიცებით მასუხისადმი

მამინ გამოჩნდა მესამე კითხვა: შეიძლება იესო ქრისტე ჩავთვალოთ მხოლოდ კაცად? თუ ის არ არის მხოლოდ კაცი, ან ვინ არის იგი?

ამ კითხვის ზირდაზირ ახსნისთვის, ზირდაზირად ყოველისა მე უნდა შემეტეო: მართლაც აღსანიშნავი ქრისტე თუ არა? რადგან ამ კითხვის მასხარებში უნდა აუხსნა ჩემთვის ბევრი სხვა კითხვები. განვიხილე რა ეველა საბუთები სახარებულ და წინამდებელი მისი მკვდრეთით აღდგომისა, დაწარმენ მასშიდ, რომ ის ნამდვილ მოკვდა და ჭეშმარიტად აღსდგა.

და თუ ის აღსდგა; თუ საკუთარს უფლებით ის აღადგენდა შევდართა და შორიდგან, დაუსწებლად, ახდენდა კურნებას მომავლადგოთ: თუ მის სატყუას ქარი და ზღვა ემორჩილებოდა, უნდა ვსცნათ, რომ იმას ჭქონდა ზესთაბუნებითი ძალა, იყო ბუნების კანონთა გარეშე, უფლებდა მათზედ და არა ემორჩილებოდა მათ. ამისათვის აქედგან სჩანს, რომ ის არ უფიქვანდა მხოლოდ კაცი.

თუ ამასთანავე მთელი ცხოვრება მისი ამტკიცებს, რომ ის იყო უცოდველი; თუ დაუძინებულნი მტერნი მისნი, შვიტნობარნი და ფარისევლებიც კი იძულებული იყვნენ გაჩუმებულყვნენ, როცა მან სასაღხათ ჭკითხა მათ: ვინ თქვენგანმა მამხილას მე ცოდვისთვისა? მამ სჩანს, რომ მას არ შეეძლო ელაზარკანა სიცრუე. ვიცან რა, რომ იესო ქრისტეს არ შეეძლო ელაზარკანა სიცრუე, მე უნდა შევხებო, რომ მას არ შეეძლო არც შეცდომის დაშვება, რადგან შეცდომა არის შედეგი ჭეშმარიტების მხატვ ტყუით გამოკვლევისა და მხატვ ტყუიანობის არ შეესაბამება მას.

და თუ მას არ შეეძლო ტყუილის თქმა, არ შეეძლო შეცდომის დაშვება, მაშ რატომ შეიტყო მან ის რაზედღე ელაზარკობდა? ელაზარკობდა კი ის, რომ აღმაინა უკვდავია, — რომ წუთიერი ქვეყნური ცხოვრება მისი არის მხოლოდ მომზადება საუკუნო ცხოვრებისთვის, რომ აქ ჩადენილ საქმეთათვის იქნება მისაკებელი უკანასკნელს მას სამსჯავროსა, რომ უკვდავად იქნება მცხოვრები აღმაინები მაშინ იქნებიან აღდგენილნი და თანხმად განვიდოდ ცხოვრებისა ზოგნი იქნებიან ნეტარებაში სასუფეველსა ცათას, ზოგნი კი ტანჯვამი; რომ სასუფეველში ნეტარების მისაღწევად აუცილებელია ქმნა ღვთის ნების, რომ ღმერთი რატორც უსაზღვრო სახიერება და სიუფარული, თხოულაბს ჩვენგან სიუფარულს მისდაში და უკვდავ აღმაინთადში, რომ ჩვენ, საზოგადოთ უკვდავ აღმაინს უნდა მოგვეზურთ ისე, რატორც ჩვენ გვსურს, რომ გვეზურებოდენ სხვანი და ამისთანებები.

მაგრამ უკვდავ ესენი საიმედო მდგომარეობა, რომლის გამოცხადება საკუთარს ღონით არც ერთ აღმაინს არ შეეძლო, რაც უნდა გვიჩინოს უფიქვანო ის. ესენი არ ეცოდინებოდა არც ქრისტეს, რატორც ვიცნ. უცხადებდა რა ამ საიმედო მდგომარეობის ქვეყანას, რატორც ნებას მამისა თვისისას, მომავლინებელისა

მისისა ქვეყნად, ის ამბობდა: „რომელმან მომავლიანა მე, ჭეშმარიტ არს, და რა იგი მესმა მისგან, მას ვიტყვი სოფელსა ამას შინა“ (იოან თ. 8, 26.). მოწაფეებთან გამოსათხიფარ საუბრის დროს ბრძანა: „გრწამსა, რამეთუ მე მამისათან ვარ და მამა ჩემთან არს, უკეთუ არა, საქმეთა ამათგან გრწამუნინ ჩემი (იოანე 14, 11.). ამხარად იესო ამბობს, რომ უფველივე რასაც ის ასწავლიდა, ამცნობას თვით ღმერთმან და რატორც ის ღმერთთან არს, ისე ღმერთი მისთანას.

მივადწიე რა ამხარად, აღმაინის გონებისათვის მიუწოდებელისადში, მე ვფიქრობდი ასე: რატორც ჭეშმარიტების მოწმეს ქრისტეს ან სახეებით უკვდავურში უნდა ვერწმუნოთ და ან სულ არაფერში, სხვანხარად არ შეიძლება. მაგრამ რადგან უფვლად მართლის, უცოდველის და უკვდაფრის შემძლებელის, მკვდრეთით აღდგომილის და ამადლებელის იესოს ჩათვლა არა სარწმუნო მოწმეთ არ შეიძლება, არც შეიძლება ჩათვლა მისი აღმაინად, ამისათვის რჩება ერთი მხოლოდ გზა: რწმენა მისი უსათუოდ უკვდაფერში და მამასადამე რწმენა, რომ ის ღვთისათანას და ღმერთი ძისთანა, ე. ი. რომ ის არის ღმერთ-კაცი და მეც ვინწინუხე.

აქ გათავდა გზა კვლევა — ძიებისა და მე შევედი ისევ ჩემგან დიდიხნის დაკარგულ სარწმუნოების საიმედო მდგომარეობაში, მე მივადექი იმ მშვიდ და წინარ ნაზირს, რომლისგანაც მოკლეკილი ვიუვი ათეიზმის ტალღით; მე ვიცანი ცხოვრება, სიცოცხლის აზრი, მე ვიპოვე ღიათ ის კარი, რომელსაც ამაოდ ვრეკდი, მე გავიგე უმაღლესი აზრი სიტყვებისა „მოვედით ჩემდა უფველნი მამ-ვრანნი და ტვირთ მძიმენი და ჰბოგოთ განსვენება სულთა თქვენთა.“ მე მივედი ქრისტესთან და ვიპოვე უსუსხი უკვდავ იმ კათხევაზედ, რომელნიცა მე მადლეებდენ და მაწუნებდენ, ვიპოვე სულიერი სიმშვიდეც.

ამისთვის ვურჩევ ურწმუნოთა, იტყვნულთა და რუეულთა მივიდენ უფალს ჩვენსა იესო ქრისტესთან იმ გზით, რომლითაც მე ვიარე. ბუნებური ვიქნები, თუ რამდენიმე მაინც დაიკურებს ჩემს რჩევას და გაივლის ნაჩვენებ გზით, რათა დაიბრუნოს დაკარგული ან მიმქრადი სარწმუნოება თვისი. *)

მლ. ღომენტი ლოსანბერიძე.

*) ეს აზრები გარდა მკირეოდენ ჩემ მიერ ჩამოტეხულ სიტყვებთა ეკუთვნის ბ. ბ. გლადკოვს, სახა-

შესაძლებელია, რომ თანამედროვე განათლების მოაზრე კაცს სწამდეს ღვთაება იესო ქრისტესი?

(რეჟურატო უფლებათა კანცლარის ბარონ შ. ნიკოლაისა).
(თარგმანი რუსულიდან).
(იხ. „შინ. საქ.“ № 33.)

მაშ სადღაა მაშინ საზღვარი ბუნებრივ და ზებუნებრივ ქვეყანათა შორის? სად თავდება პირველი და საიდან იწყება მეორე, ან არის კი მათ შორის საზღვარი? ალბად არ არის და საკითხი მეცნიერული შეხედულებით იმაზედღაა, არსებობენ თუ არა უმაღლესი რიგის ძალები?

მომეტებული ნაწილი კრიტიკოსთა, მაგ. დავით შტრაუსი, რენანი და სხვანი ხელჰყოფს ქრისტეს ცხოვრების განხილვას მზამზარეული თეორიით, რომ ყველაფერი, რასაც ისინი სთვლიან ზებუნებრივად, შეუძლებელია, და ამის მიხედვით თავისებურად „აყალიბებენ“ სახარების მოთხრობებს. სხვანი, როგორც მაგ. ჰარნაკი სცნობენ ზოგიერთ სასწაულთა შესაძლებლობას, მაგ. ბრმათა და კოჭლთა განკურნებას, მაგრამ უარყოფენ სხვა სასწაულების შესაძლებლობას. განა ეს მეცნიერული საქციელია?

ქრისტე (მათე 12, 28) აცხადებს, რომ ის იქმნა სასწაულებს ძალითა სულისა ღვთისათა. მაგრამ განა ჩვენ ბევრი ვიცით ღვთის სულის შესახებ და გვაქვს განა რაიმე უფლება ვუჩვენოთ, რა არის მისთვის შესაძლებელი

რებების მშვენივრად, ყველასათვის გასაგებად ამხსნელს და ეს აზრები მას აქვს გატარებული წინასიტყვაობაში იმ დიდი წიგნისა, რომელიც შეიცავს თვის შორის 686 გვერდს და რომელსაც ჰქვია „Толкование Евангелия“, და ვისაც ეინტერესება სიმართლის გაგება და სახარების აზრთა მიწვდენა მისთვის დიდი განძი იქნება ამ წიგნის მოკვება. აუცილებელ საქმეებსა შეადგენს ეს წიგნი იმ მღვდელთათვის, რომელთაც თვის მოვალეობად მართო გარეგნულ წესების ასრულება და ცხვარ-ტაბლების კურთხევა არ მიაჩნიათ. წიგნი, მიუხედავად თავისი სივრცე სადილისა, ძლიერ იაფია, 1 შ. 80კ.

მთარგმნელი,

და რა არის შეუძლებელი? ჩვენ ხანდახან ვხედავთ ხოლმე, რომ კაცში მოხდა რაი საკვირველი ცვლილება რომელიმე მადლია ძალის გამო, მაგრამ ამ ძალის ბუნება ჩვენთვის მეტ ნაწილად დაფარული რჩება.

ამ საკითხში ვემსახურით ქეშმარიტ მეწიერებას, ნუ ვიქნებით მსუბუქად მოაზრებულნი, მოვიცილოთ წინაღვე შედგენილი რწმენანი, ვიქონიოთ ფართო მხედველობა, მზვიყვნეთ ქეშმარიტების მისაღებად და მოვირიკნეთ ქედი მის წინაშე, საიდანაც უნდა მოვოდეს იგი, თუნდაც რომ დაარღვიოს მან ზგიერთი ჩვენგან შეყვარებული თეორიე თუნდაც რომ ჯერჯერობით მას არ მიედამტკიცება პროფესორთაგან და არ იყუეტანილი ჩვენ სამეცნიერო სახელმძღვალოებში. ამ რიგად შევეუდგეთ ქრისტეს როვნების შესწავლას. ბევრი, რასაც ჩემის შესახებ ვკითხულობთ სახარებაში, პირლი შეხედვით, დაუჯერებლად და შეუძებლად გვეჩვენება, მაგრამ განა მართ შეუძლებელია? იქნება სწორედ აქ გვხვდ ჩვენ მოქმედება იმ „უმაღლესი რიგის ძალის“ რომელიც შეუძლებელს შესაძლებელ ჰყო

ჯერ ნუ განვიხილავთ საკითხს სახარებაში მოთხრობილ სასწაულთა შესაძლებლობა ან შეუძლებლობის შესახებ. გავარჩიოთ გვდადებით ის მხარეები ქრისტეს პიროვნებრომლებს განხილვაც მეცნიერულად შეიძება. თუ არიან საბუთები, რომლებიც გვჩვენებენ ქრისტეს ღვთაებას, ან მის უეჭველო მაშინ საკითხს სასწაულთა შესახებ აღარნება პრინციპიალური სიძნელე.

თუ მეცნიერულად მოვიქცევით, პირველად უნდა შევჩერდეთ: 1) იმ წყარბზე, რომლებიდანაც ვღებულობთ ცნოქრისტეს პიროვნების შესახებ; 2) თვით ქრტეს პიროვნების შესწავლაზე იმ საბუთებრომლებიც ხელთა გვგვქვს და 3) იმ დასკოზე, რომლებიც ლოლიკური თანდათანოგამომდინარეობენ ქრისტეს ღვთაების საკოდამტკიცებითი, თუ უარყოფითი გადაწყტიდან.

მეტი ნაწილი განათლებულ პირთა

რუსეთში*) ძალიან ნაკლებად იცნობენ ქრისტიანობის წყაროებს. მათ არასოდეს დამოუკიდებლად არ შეუსწავლიათ ქრისტეს პიროვნება სახარებით, არ უფიქრიათ იმ დასკვნათა შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ მისი ღვთაებრიობის საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტისაგან და ყველა თავის ცნობებს ღებულობს სხვის ხელიდგან.

ამას შედეგად მოსდევს უქონლობა მტკიცე დარწმუნებისა და მოუფიქრებლად დათმობა, თუ შეგვხვდა რაიმე ძნელი ადგილი სახარებაში, ან წინააღმდეგი საბუთი, რომელზედაც ხელად ვერ პოულობენ პასუხს; იმას კი ვერ აქცევენ ყურადღებას, თუ რა მოსდევს მათ გვარ ნაბიჯს.

გავიხსენოთ, რომ რთული საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ შეიძლება ერთი ან რამდენიმე საბუთის, ან რომელიმე საბუთთა ჯგუფის მიხედვით. ჩვენ უნდა ავწონოთ ყველა კენთვის ხელ მისაწვდომი საბუთები და ანგარიში გაუწიოთ ყველა მათგან გამომდინარე შედეგებს. მხოლოდ ყველა საბუთებზე ერთად ნდა გადასწყვეტონ, რომელი მხრისკენაა ნდა გადისაროს ჩვენი სასწორი. პატიოსნულად და კეთილ სინიღისიერად მოვიქცეთ ამ შემთხვევაში. ქვეშაბრტყბას სინათლისა არ შინიან.

სინამდვილე ჩვენი სახარებისა.

„ქრისტიანობა სამი საუკუნის განმავლობაში შემუშავდა“, სწერს რენანი; ამით მას უნდა სთქვას, რომ რადგანაც უძველესი ხელთაწერი სახარება, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, დაწერილია სამას ორმოცდა მეთექვსმეტე წლის შემდეგ, ამიტომ, ალბათ ამ გრძელი წინასწარ განმავლობაში, ქრისტიანობის დამაარტებლის გარდაცვალების შემდეგ, შეადგინეს ყველა ლეგენდები მის სასწაულებზე და ღვთაებრივ თვისებებზე და რომ ნამდვივად კი იესო ქრისტე იყო უბრალო მომაკვდავი ადამიანი, როგორც ჩვენ, მხოლოდ ძალიან იღვწაურ გუნებაზე მყოფი. ამ შეხედულობას მხარს

უჭერს ლ. ნ. ტოლსტოი და ბევრი სხვა.

მართალია, უძველესი ხელნაწერი სახარება აქამდე აღმოჩენილი ეკუთვნის ნაჩვენებ დროს, ასე რომ მთელი ორას ორმოცდა ათი წელიწადი აშორებს მას იმ დროიდან, როცა გარდაიცვალა უკანასკნელი მოციქულთაგანი, იოანე, შემდგენელი მეოთხე სახარებისა, მაგრამ ვიკითხოთ რა მდგომარეობაში არიან დანარჩენი ჩვენი ბერძნული და ლათინური კლასიკები, რომლების სინამდვილეზეც ჩვენ ეჭვი არა გვაქვს? თურმე ესხილი სცხოვრებდა 525—456 წლებში ქრისტეს შობამდე; უძველესი ხელთ ნაწერი კი მისი თხუზულებისა ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნეს ქრისტეს შემდეგ, ასე რომ აქ ავტორი დაშორებულია თხუზულებას ათას ხუთასი წლით. სოფოკლის, ფუკიდიდეს და ჰეროდოტეს თხუზულებებიც თითქმის ამდენივე ხნით არიან დაშორებული ავტორებზე. ვირგილის თხუზულება—300 წლით, ტიტელივისა—ოთხასით, ჰორაციისა—ცხრასით, ტაციტისა—შვიდას ორმოცდა ათით, ასე რომ ამათთან შედარებით სახარება ხელსაყრელ მდგომარეობაშია.

სახარების უფრო ძველი ხელნაწერის უქონლობა ჩვენში რაოდენადმე აიხსნება მითი, რომ დეკიოს და დეოკლიტიანე იმპერატორებისგან ქრისტიანობის სასტიკ დევნის დროს გამოცემულ იყო განსაკუთრებით ბრძანება ყველა ქრისტიანულ წიგნთა მოსპობის შესახებ; რადგანაც მათი აზრით, ეს წიგნები იცავდნენ ქრისტიანობას. არც ისე ადვილი იყო შენახვა დიდ ტყავზე ხელნაწერებისა თითქმის სამი საუკუნის დევნის დროს.

რომ ჩვენი სახარება არსებობდა იმ სახით, როგორითაც ჩვენამდე მოაღწია, სამას ორმოცდა მეთექვსმეტე წლის წინადაც, —ცხადია იქიდან, რომ არიან სხვა ავტორების ხელნაწერები, რომელთა სინამდვილეზეც მეცნიერებს ეჭვი არა აქვსთ, რომლებშიც იპოვებიან ამონაწერები უფრო ადრინდელი დროის სახარებებიდან, ან კიდევ ჩვენება მათზე, რომლებიც ცხადად ამოწმებენ სახარებაში მოხსენებულ უმთავრეს ფაქტებს.

*) უფრო უმეტესად საქართველოში.
მთარგმნელი.

არის მაგ., აპოლოგიური თხუზულება დაწერილი 140 წ. ქრისტეს შემდეგ ყოფილ წარმართ ფილოსოფოსის იუსტინესგან ანტონინე პიუსის და მარკოზ ავრელის სახელზე, რომელშიც ის ასაბუთებს ქრისტეს მოძღვრებას და ცხოვრებას და აღწერს მაშინდელ ქრისტიანთა საზოგადოების მდგომარეობას. საინტერესოა წაკითხვა იმ ამონაწერთა, რომლებიც მას მოჰყავს სახარებიდან და მისი დამოწმება „ქრისტიანნი კვირა დღის კრებებზე, — სწერს ის, — კითხულობენ ხოლმე მოციქულთა მემუარებს“ (სახარებებს).

ამ ათი წლის წინად ეგვიპტეში იპოვეს თხუზულება იუსტინეს მოწაფის ტატიანისი, დაწერილი დაახლოვებით 170 წ. ქრისტეს შემდეგ, რომელიც წარმოადგენს ოთხივე სახარებიდან ამონაწერთა კრებულს.

არის კიდევ სხვა და სხვა მოწმობები სახარებიდან უფრო ადრინდელ მწერლების თხუზულებებში, მაგ. კლიმენტ რომაელის თხუზულებაში 97 წ. ქრისტეს შემდეგ და სხვა და სხვა ავტორთა, მაგრამ ჩვენ საქმე არა გვაქვს ბიბლიურ კრიტიკის ამ დარგთან, — ჩვენთვის საკმარისი დავდგეთ იმ ნიადაგზე, რომელიც მოიპოვა თანამედროვე გერმანული ლიბერალური ღვთის მეტყველების სკოლაში, რომელსაც თავში უდგას პროფესორი ჰარნაკი. ჩვენ შეგვიძლიან დარწმუნებულები ვიყუეთ, რომ ამ ღვთის მეტყველებმა ასწერეს თვითმული იოტა ხელნაწერებისა თავიანთ კრიტიკულს გამოკვლევებში.

გერმანიაში წარსულ საუკუნის ნახევარში გაბატონებული ტიუბინგენის საღვთისმეტყველო სკოლა, რომელსაც სათავეში უდგა ბაუერი, რომელიც (სკოლა) უარყოფდა თითქმის ყველა ძველი აღთქმის წიგნთა სინამდვილეს, — უკვე დიდხანია, რაც გაკრუებულია მეცნიერებისგან და აწინდელს დროში გერმანიული ლიბერალური სკოლა სცნობს სამი სახარების და ყველა ეპისტოლეთა (გარდა ერთისა) სინამდვილეს მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტად.

მაგრამ თუ ჩვენ უმეტესი სიფთხილის გამო მივიტყვეთ მოხსენებული სკოლის სულ

უკიდურეს წარმომადგენლებისადმი, ენახეთ, რომ ისინიც სცნობენ უეჭველს სინამდვილეს პავლე მოციქულის ოთხ ეპისტოლეთა — რომაელთა, გალატელთა და ორის კორინთელთა მიმართ.

მაგრამ, რადგანაც ამ ეპისტოლეებში, რომლებიც დაწერილია პავლე მოციქულისგან მესამოცე წლებში ქრისტეს შემდეგ მოიპოვება ყველა არსებითი ნაწილი ქრისტიანული სწავლა მოძღვრებისა და მათ შორის მოწმობანი ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის და მისი ღვთაებრიობის შესახებ და რადგანაც ამ მოციქულის ეპისტოლენი მიღებულნი იყვნენ ყველა ქრისტიანთა საზოგადოებაში — მცირე აზიაში, საბერძნეთში, იტალიაში, ერთი სიტყვით ყველგან, საცა კი არსებობდა საქრისტიანო ეკლესია, აქედან ცხადად სჩანს, რომ ეს ძირითადი დებულებანი საქრისტიანო სწავლა — მოძღვრებისა, არ არიან შემდეგი დროის გამოგონილები, არამედ ეკუთვნიან ქრისტიანობის უადრევეს ხანას. მაშასადამე, პირველი საუკუნის მესამოცე წლებში ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე პირველ საქრისტიანო საზოგადოებებს სწამდათ სასწაულები და აღდგომა ქრისტესი მკვდრეთით და მისი ღვთაებრიობა. ამითი ირღვევა მთელი ჰიპოტეზა რენანისა ამ რწმენათა უგვიანეს აღმოცენების შესახებ. არის კიდევ ერთი პატარა გარემოება, რომელსაც რენანმა არ მიაქცია ყურადღება, — ეს არის ისტორიულად უცილობელად დამტკიცებული ფაქტი, რომ ყველა საქრისტიანო ეკლესიები, ყველგან დასაწყისიდანვე ღღესასწაულობდნენ აღდგომას და ერთმანეთს მოიკითხავდნენ ხოლმე მოკითხვით: „ქრისტე აღსდგა“! საიდან და როგორ მოიკითხა მათში ფეხი ამ ჩვეულებამ?

გადავიდეთ ეხლა საკითხზე სახარების მოთხრობათა სინამდვილის შესახებ. რავედნად მართალი არის მოთხრობილი ამგები შეიძლება გაკვირით შევნიშნოთ, რომ რაკი ვცანით სინამდვილედ თუნდ ერთი რომელიმე სახარებასა მიინც, ამით ჩვენ ვქმნით საფუძვლიან საბუთს მათი ავტორების გულწრფელობის და მოთხრობათა სინამდვილის შესახებ,

ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთ ქრისტეს მოციქულთაგანი ლევი, დამწერი პირველ სახარებისა, ან მოციქული იოანე, ან თანამგზავრნი პავლე მოციქულისა ლუკა და მარკოზი სწერდნენ კრუ და არა სარწმუნო ამბებს. ამის წინააღმდეგ ამბობს ის ტონი, სახარებისა, ტონი იქამდე გულწრფელი, სამართლიანი, ფიზიკური და მარტივი, რომ თუ კაცს წინააღმდეგ არა აქვს შედგენილი საწინააღმდეგო აზრი, უნებლიეთ უჩნდება გულში ნდობის გრძობა ამ მოთხრობათა ავტორებისადმი. ბევრმა პირმა, რომელმაც ექვით დაიწყო სახარების კითხვა, გამოიტანა დარწმუნება მის სინამდვილეზე მისი ტონის მიუხაზველი სიმართლიანობის გავლენით. მეორე საბუთი—სიმრავლე წერილმან ამბებისა მოთხრობაში, რომლებიც მოიპოვება ყველა სახარებაში, ნამეტნავად კი მარკოზისაში და რომელთა შინაშინაც შეეძლო მხოლოდ ამბების თვითმხილველს, და რომელთა ასე ცხადად გახსენება შეუძლებელი იყო შემდეგში. თუ გვინდა მსჯელობა ვიქონიოთ ამ საბუთების საფუძვლიანობა—უსაფუძვლობაზე, რასაკვირველია, ამ საბუთს უნდა მოვეყრათ მიუდგომლად და საფუძვლიანად გავიცნათ სახარება.

„განსაკუთრებითი ხასიათი სახარებისა უეჭველია“, სწერს პროფ. ჰარნაკი;—შეუძლებელია რაღაცეა ათი წლის შემდეგაც კი ხელახლად გახსენება ამ სიმარტივისა და ფორმის გამომეტყველებისა.... სულ ცხადია, რომ ჩვენ აქ გვაქვს უმთავრეს ნაწილად პირველ დროთა გარდმოცემანი. სახარების სინამდვილეს ისიც მოწმობს რომ ჩვენ გვხვდება ერთი და იგივე სახარება დაწერილი საბერძნეთში, ჰალლიაში, ეგვიპტეში, რომში პალესტინაში, ჩრდილოეთ აფრიკაში და სხვა, რისგანაც სჩანს, რა სიფრთხილით იცავდნენ ამ წერილთა პირველ ტექსტს.

„მაგრამ სახარებაში არის მრავალი შეცდომა და წინაუკმობა, ამბობენ ზოგიერთნი; გარდა ამისა, ამ სახარების გარდა არის კიდევ სხვა ეგრეთ წოდებული აპოკრიფული სახარება, რომელიც სავსეა ტლანქი და ფანტაზიური ზღაპრებით და დიდხანია, რაც ის

ცნობილია ყალბად; რისგან არის, რომ სავალდებულო სახარება ნდობის ღირსია და ეს კი არა“?

მართალია, სახარებაში არის შეცდომები უთანხმოებანი მოთხრობებში; მაგრამ ამის სიმრავლეზე შეუძლიან ილაპარაკოს მხოლოდ იმან, რომელიც მცირედ იცნობს სახარებას. მათეს სახარებაში, მაგ ერთი წინასწარმეტყველება ქრისტეს შესახებ (მათე 27, 1) მიკუთნებულია იერემია წინასწარმეტყველზე, მაშინ, როცა ის ნამდვილად გვხვდება ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნში (11, 12-13). ერთს მახარებელს მოხსენებული ყავს ორი ეშმაკეული გადარინელთა ქვეყანაში, რომლებიც განკურნა უფალმა, მეორეს-ერთი. იოანეს მოთხრობით, მარიამმა ნელსაცხებელი წასცხო იესოს ერთი კვირის წინედ ჯვარცმამდე, სხვების მოთხრობით კი ეს მოხდა ამისი ენების წინადღეს. პირველ ორ სახარებაში ნათქვამია, რომ ორივე ქრისტესთან ჯვარცმული ავაზაკები აგინებდნენ მას, ლუკა კი გვაჩვენებს, რომ ერთი მათგანი აგინებდა იესოს, მეორე კი აყვედრიდა მას ამისთვის და შეინანა და სხვა. მაგრამ ეს წერილმანი განსხვავებანი ტექსტში ეხებიან განა საკითხის არსებას? ყველა იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება ქრისტეს ღვთაებას, მის მკვდრეთით აღდგო მას, მის სიტყვებს და არსებითს მხარეებს მისი ცხოვრებიდან, ყველა მახარებლები ამბობენ ერთსა და იმავეს არსებითად და განუჩევლად. მაგრამ განა ეს წვლილმანი განსხვავებანი უფრო არ ამტკიცებენ სახარების სინამდვილეს? სახარება რომ უგვიანეს ავტორთაგან იყვეს შედგენილი, მაშინ ეს უკანასკნელები ეცდებოდნენ, რომ ამგვარი წინააღმდეგობანი არ ყოფილიყო და რომ „ნაკერი“ არ გამოჩენილიყო მოთხრობებში. ამგვარი წერილმანი განსხვავებანი ყოველთვის იქნებიან მოთხრობებში და აუცილებელიც არის, როცა ერთსა და იმავე ამბის შესახებ მოგვითხრობენ სხვა და სხვა პირები, სხვა და სხვა ადგილიდან და სხვა და სხვა დროს. აბა, მაგ. რამოდენიმე კეთილ-სვინდისიერმა რეპერტიორმა აღწეროს რომელიმე ამბავი ქალაქში მომხდარი, მაგ.

ცეცხლის გაჩენა, გამოვა არასრულად თანახმა მოთხრობა მის შესახებ. სახარებანი კა არ არიან ერთსა და იმავე დროს დაწერილნი, არამედ, როგორც ჰგონებენ 70 და 90 წლებს შუა პირველი საუკუნისა, იოანეს სახარება კი მეთხუთსეულს.

რაც შეეხება აპოკრიფულს სახარებებს, მგ. ბარნაბას სახირებას, ენოქის წიგნს, პეტრეს განცხადებას და სხ., გარდა იმისა, რომ ეს მოთხრობილია საშინელი შეუძლებელი ამბები (მაგ. შესახებ იმისა, რომ ქრისტე ბავშობაში თიხის ჩიტებს აკეთებდა და მერე აცოცხლებდა ხოლმე), თვით ტონი ამ სახარებათა იმოდენად განირჩევა მარტივ, ჩვენი სახარებისა, ფხიზელ და სამართლიან ტონისგან რომ ლაპარაკი კი არ შეიძლება მსგავსებზე და ღირსების შედარებაზე. ერთი უახლესი მთარგმნელთაგანი აპოკრიფულ თქმულებათა, ინგლისელი ბ. ს. კაუპერი სწერს: „ამ შრომის (ე. ი. თარგმნის) მიღებამდე მე არ შემიგნია ისე, როგორც ეხლა მაქვს შეგნებული, რა უფსკრულია სდევს წმ. სახარებასა და ამ თქმულებათა შორის.“

შეიძლება ქრისტეს ცხოვრების წყაროებად მივიღოთ ქრისტიანე მწერალთა თხუთსეულებანი პირველი ორი საუკუნისა, მაგრამ ამითი ჩვენ გამოვალთ ამ რეფერატის საზღვრებრიდან. ყოველივე ზემო თქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუ სახარების სარწმუნოებრივს მნიშვნელობას ავუქციებთ მხარი, მაშინაც კი ის წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ მასალას და მეცნიერული მხრივ უმაღლესი ხარისხის სინამდვილისა არის. სახარებაში ჩვენ გვაქვს გულუბრყვილო მოთხრობა, აღწერილი ამბების თვითმხილველ პირთაგან, ანუ ამგვარ თვითმხილველებთან ახლო მდგომარეთაგან.

ნაცარყანელი.

(შემდეგი იქნება).

რას ამბობენ შესანიშნავი ალაშიანები

ბიბლიის შესახებ? *)

ა. ჟუკოვისი.

მივექცეთ ახლა რუს მწერლებს. შესანიშნავი რუსი პოეტი-ქრისტიანე ბ. ა. ჟუკოვსკი (1783—1852 წ.) რომლის მიზიდველი სახელი წყნარ შექ-მფინარ სინათლით ბრწყინავს რუსულ ლიტერატურაში, ბავშობიდან მორწმუნე ადამიანი იყო; ცოცხალი რწმენა საღმრთო გამოცხადებისა და განგებისა მარად თან ახლდა მას. მისი თანამედროვე პ. ა. პლეტნევის სიტყვით ჟუკოვსკის საუცხოვოდ უყვარდა სიტყვა ღვთისა. ¹⁾

ლექსში „ბიბლია“ პოეტი ხმობს: „ვის არ უკვებავს გული, ვინ არ აღტაცებულა ამ ებრაელთადმი ცილგან შთაგონებული წინით!“

ახალი აღთქმის კითხვას და შესწავლას პოეტი რომანტიკოსი რაცხდა ცხოვრების მთავარ საგნად ²⁾. თავისი აზრი სახარების მნიშვნელობაზე ადამიანის სულიერ ცხოვრებისათვის მან გამოსთქვა თავის მოთხრობაში „კაპიტანი ბოპპი“, სადაც იუნგა-ყმაწვილი სახარების კითხვითა და ქრისტესადმი ლოცვით იხსნის ტლანქსა და უწყალო კაპიტანს ზნეობრივ დაღუპვისაგან. რომ ჟუკოვსკის განსაკუთრებითად უყვარდა სახარება, ამას მოწმობს მისგან სლავენურიდან რუსულად თარგმნილი მთელი ახალი აღთქმა. ეს თარგმანი პოეტს თავის მცირე წლოვან ბავშვებისთვის უნდოდა

რა ღრმა მოწიწებით ექცეოდა ბიბლიას რუსი გენიოსი პოეტი ა. ს. პუშკინი! მას მთელი სულით უყვარდა ეს წმინდა წიგნი, ხშირად კითხულობდა მას და წმინდა ყრმებრივი ნდობით იყო გამსქვალული მისდამი.

„გკითხულობდი ბიბლიას, - ამბობს პუშკინი, - თავიდან ბოლომდე მიხაილოვსკში ექსორიობის დროს. წინათაც ბევრჯგის მაკითხავს სახარება.“ შემდეგ მოგვითხრობს, რომ ლექსი

*) იხ. „შინაური საქმეები“ № 33
1) Сочинения и переписка И. А. Плетнева, т. III стр. 658.
2) Слова жуковскаго; тамъ же, стр. 649

„წინასწარმეტყველი“ შთაბერა მას ეზეკიელ წინასწარმეტყველიდან ნაწყვეტის წაკითხვამ. პოეტი მივიდა მთაწმიდის მონასტერში პანაშვილის გადასახდელად. მონასტრის მოსამსახურემ იგი კელიაში მიიწვია მოსაცდელად. აქ „მაგიდაზე, გადმოგვცემს პუშკინი, იღვა გახსნილი ბიბლია, დავხედე გვერდს—ეს იყო იეზეკიელი. წავიკითხე ნაწყვეტი, რომელიც გადავსტკვი „წინასწარმეტყველში.“ ამ ნაწყვეტმა უცებ გამაოცა, რადენიმე დღე თან მდევდა, და ერთხელ ღამით დავსწერე ჩემი ლექსი... იეზეკიელის წინასწარმეტყველება წინათაც მიკითხავს; ამ შემთხვევაში საუცხოვო შვენიერად მეჩვენა, ვფიქრობ, რომ უკეთესად ვაფიგე. ასეთია ყოველთვის საღმრთო წერილი, რადენიც უნდა იკითხო, რადენად უფრო განიმსქვალები მით, მით უფრო ყველაფერი იხსნება ფართოდება. მე არასოდეს არ ვკითხულობ ზედიზედ მიყოლით: გაეხსნი შეხვთომით და ვკითხულობ, სანამ მესიამოვნება“¹⁾

„ვფიქრობ, რომ ხალხს ვეარასოდეს ვერაფერს მივცემთ საღმრთო წერილზე უკეთესს. საღმრთო წერილის გემოს მაშინ ვაიგებ, როცა დაუწყებ კითხვას, რადგანაც მასში დაინახავ მთელ კაცობრივ ცხოვრებას. სარწმუნოებამ შექმნა ზელოვნება დმ მწერლობა, ყველაფერი რაც დიადი რამე იყო უძველეს დროიდან. ყველაფერი დამოკიდებულია სარწმუნოებრივ გრძნობისგან. სარწმუნოებრივი გრძნობა თან შობილია ადამიანში, როგორც იღვა შვენიერებისა და სიკეთისა, რომელსაც ვბოულობთ ხალხურ ზღაპრებში, სადაც ბოროტ მოქმედნი ასე საზიზღარნი არიან.“

ყოველ ველურ ადამიანს აქვს წარმოდგენა შვენიერებაზე, თუმცა ძალიან მახინჯი და ტლანქი; მასაც აქვს თავისი სამკაული, სურს მოწონება, ეს უკვე პირველყოფილი სახე სიყვარულისა. უსარწმუნეობით არ იქნებოდა არც ფილოსოფია, არც პოეზია და არც ზნეობა. ინგლისელი მართალნი არიან, რომ აძლევენ ბავშვებს ბიბლიას*. შემდეგ პოეტი უპასუხებს ჩვეულებრივ მოწინააღმდეგეებს,

*) Записки А. О. Смирновой. сиб. 1895 г. ч. I стр. 266.

რომელთა სიტყვით ბიბლიაში არის შეუფერებელი და უსარგებლო რამეები ბავშვებისათვის და ამბობს: „რა ცთომია! წმიდათათვის ყოველივე წმიდაა. უმანკო აზრი ყრმისა არასოდეს არ შეიმწიკვლება, რადგანაც წმინდაა. „ათას და ერთი ღამე“-ს არასოდეს არ გაუხრწნია არც ერთი ბავშვი და მასში კი ბევრია შეუფერებელი. ბიბლიის პოეზია განსაკუთრებით მისწოდშია წმინდა წარმოდგენისათვის. ჩემი შეილება წაკითხავენ ჩემთან ერთად ბიბლიას დედანში... ბიბლია—მსოფლიოა. იობის წიგნი შეიცავს მთელს კაცობრიულს ცხოვრებას“¹⁾

განსაკუთრებით ბევრს ფიქრობდა დიდი პოეტი სახარების შესახებ. გლინკა გადმოგვცემს, რომ მან ერთხელ ნახა პუშკინი სახარებით ხელში, ამასთან გენიოსმა მწერალმა უთხრა მას: „აი ერთადერთი წიგნი ქვეყანაზე, მასში ყველაფერია.“²⁾ თითონ დიდი პოეტი აღუქსანდრე სერგეის ძე პუშკინი მუხლს იღრეკდა სახარების პოეზიის წინ. გატაცებული ამ პოეზიით, იგი ამბობდა: „სახარება ლუკასაგან, რომელიც 25 მარტს იკითხება,—უმშვენიერესია ყველა პოემისა. მე ვერასოდეს ვერ დავწერ რადენიმედ მაინც მის მსგავსს რამეს“³⁾

შესანიშნავი სტრიქონები ბიბლიის შესახებ ეკუთვნის რუს მწერალ ქალს დიდად ნიკიერს ნ. ს. კობანოვსკაიას (1825—1884). თავის ცხოვრების აღწერაში იგი საკუთარი ცხოვრებიდან, მოგვითხრობს შემდეგ შემთხვევას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა მისი სულის შინაგანი მდგომარეობისათვის. „დავიწყე ბიბლიის კითხვა; იმისთვის კი არა, რომ წამეკითხა—არა! დავიწყე კითხვა, რომ არ დამძინებოდა. მოაღწია დიდი შაბათის მწუხრმა. ვიჯედი ჩემს სადარბაზო ოთახში. წმიდა ღამე, წყნარად ვარსკვლავებით მოკაშკაშე ფანჯარაში იყურებოდა; ზოგ ხატებს კანდელი ენთო, ზოგს—წმინდა სანთელი. რაც ინსტიტუტს მოვშორდი, სახარება არ

1) Тамъ же стр. 162—193

2) Тамъ же стр. 91.

3) Тамъ же стр. 266.

წამიკითხავს, ეფიქრობდი: რისთვის წავიკითხავ? თითქმის მთლად ზეპირად ვიცი: მიკითხავს და გადამიკითხავს. განა ახლა სხვა არის? ახ! რა დროსაც გინდა წაიკითხო, იგი სულ იგივეა. მაგრამ სხვა და სხვა გვარად მოქმედებს სულზე. ორივე იდაყვით დავეყრდენი მაგიდას და ვიწყებ კითხვა მიყოლით, პირველ ფურცლიდან. არ შემოძლიან გადმოგცეთ ის საკვირველი სიახლე, რომელიც აქ წარმომიდგა. ყველაფერი ძველია, ყველაფერი დიდი ხნიდან ცნობილი, მაგრამ ყველაფერი ასე უცხოად არხვეს გულს. დიდხანს არ მიკითხავს. მალე მუხლი მოვიყარე, — ცრემლნი მარცვალვით ვარდებოდენ, ცვივოდენ — არ ვიხოცდი მათ, ერთი სიტყვაც არ წარმომითქვამს, არც პირჯვარი გამომისახავს. — მუხლ-მოყრილი ვიდექი, და ნათელი მაცხოვრის სახიდან ეფრქვეოდა — ეფრქვევოდა ჩემს მისდამი მიქცეულ სახეს... ეს დღესასწაული აღდგომისა ჩემი აღდგომაც იყო. მხოლოდ ღმერთს შეუძლია გამოყვანა ასეთი სიბნელიდან საღმრთო სინათლეზე და ასე უეცრად! თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სულს ფრთები აქვს, ჩემს სულს ამ დროს გედისა ჰქონდა. იგი სიხარულით ფრთხილდებდა და ბანაობდა მხიარულების ისეთს წყნარსა და წმინდა წყალზე, რომ ბრწყინვალე შეხებები ცად ფრინავდა და დედა მიწაზე ტკბილ ცრემლებად ვარდებოდა. რა იქნა ეს სიმძიმე, დარდი, გაუგებრობა? ჩემში დარჩა მხოლოდ მშვიდი, რაღაც მხიარული მწუხარება, რომლისგამო, მე სრულებით არ მსურდა გამეცინა. არამედ ტკბილად, მხიარულად ვტიროდი. ჩემს გარშემო არსებითად არაფერი შეცვლილა, მაგრამ მე იგივე არ ვიყავი — და ყველაფერი იგივე ირ იყო. შერიგებული თავის თავთან შეფერიგდი ყველაფერს, თავის ცხოვრებას, თავის ზედს.“¹⁾

თავის მეორე თხუთხულებში „დიდხნის შეხვედრა“ კონხანოვსკიაი სწერს: „სახარება მუხლებზე მედო, ერთ წუთს ვერ შევებე, ვერ გავხსენი... როცა გადავწიე მძიმე ყდა და ჩემ წინ გამოჩნდა სტრიქონები — არ ვიცი, რა

დამემართა! მთლად შეზყრობილი ალტაცების რაღაცა მძაფრი მოძრაობით, ვკითხულობდი და ვკითხულობდი. ძლივს თუ მესმოდა რამე; მხოლოდ ვგრძნობდი ნეტარებას კითხვისას!.. უცებ გონს მოვედი და მესმის: „რომელმან ისმინნეს სიტყვანი ესე ჩემნი და ჰყვენეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი კლდესა ზედა. და გარდამოხდა წვიმა, მოვიდეს, მდინარენი, ჰქროდეს ქარნი, და ეკვეთნეს სახლსა მას და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა. და ყოველმან, რომელმან ისმინნეს სიტყვანი ესე ჩემნი და არა ჰყვენეს, ემზგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი ქვიშასა ზედა: და გარდამოჰხდა წვიმა, მოვიდეს მდინარენი, ჰქროდეს ქარნი და ეკვეთნეს სახლსა მას და დაეცა და იყო დაცემა იგი მისი დიდ ფრიად“ (მათ. 7).

სადა ვარ? რა სიტყვებია? ეს რა ძალა მათში? თან მიაქვს სული! მივვარდი გვერდის ზემო სიტრიქონებს — აკლია; გადავფურცლე — კიდევ და კიდევ — და გაჩნდი მაცხოვრის მთიდან ქადაგების საფეხურთან. მცხელოდა და შემდეგ შემცივდა, ამაკანკალა. სიტყვამ ნეტარებათა შესახებ ზარი დამცა. ნელ-ნელა სიცივე მშორდებოდა... ვგრძნობდი, თითქო გული მიდნებოდა; ვდნებოდი სრულებით. ჩემში შემოდიოდა რაღაც გვარი ტკბილი, უცნობი სითბო, რომელიც ერთად მოქმედებდა სულსა და ხორცზე, მსუბუქი ოფლი გამომივიდა შუბლზე და ცრემლები წყნარად და შეუქმნევლად მომადგა თვალებზე.“

(შემდეგი იქნება) ო. მწირი.

აკაკის

(მილოცვა).

ბედ შავი მწირი
დიდებულ მგოსანს
შორედამ გიძღვნი
თაყვანის ცემას.

¹⁾ Русское Обозрение: 1896 г. августъ. стр. 472—474.

გილოცავ გვირგვინს
ვუკვდავებისას, —
ნაყოფს ზეციურ
შენის ნიჭისას...

—
შენ გააღვიძე მძინარი ერი,
შენ მიმადლე მას მოაზრე სული, —
მისთვის თაყვანს გცემს მშობელი ერი
შენით ფენიქსებრ განახლებული.

—
გამოიფხიზლა შენმა სამშობლომ,
შეიგნო შენი დიადი ღვაწლი...
იხარე სულით, დიდო მგოსანო,
რომ შეასრულე შენ შენი ვალი!...

ქაიხოსრო გელოვანი.

დათიას შვილები

(გურიის ცხოვრებიდან).

I

ბებია ჩაფიქრებული
ამოჯდომია კერისას,
ხან ნიგუზს შეუჩინჩხალებს,
ხან უპინტილებს ჩერისას.
ფიქრობს: რა ვუყო სიბერეს,
ლომე მომავლდა წყეული.
უსაქოდ ველარ ვისვენებ
საქმიანობას ჩვეული.
მატყლს დავსთავ, შვილიშვილებსა
წინდებს მოუქსოვ, მადლია,
სხვილ წინდის ჩხირზე დავიწყებ,
რადგანაც თკალებს მაკლია.
კარგი ბოვშები არიან,
მეფერებიან მივლიან,
თუ მოვკვდი საკურთხს დამიდგმენ,
ცხონებას შემომითვლიან.
შვილის შვილები, ბებიას
თვალეში შესჩერებია,
ეხვეწებიან: გვითხარი
რამე ზღაპარი ბებია.

— რა გითხრათ შეილო, ამ დროსი
მე არა გამეგება რა,
მოვხუცდი ძლივსლა ვჩიფჩიფებ,
თვალს ბინდი გადამეფარა.

სიბერემ მძლია წყეულმა,
შემომელია ღონეო,
მაგრამ, ჰო, გეტყვით რასმე ძველს,
თუ კი რამ მოვიგონეო...

ბავშები სმენად გადიქვენ,
ყველამ აცქვიტა ყურები,
შესჩერებიან ბებიას
ამ ამბის მონაწყურები.

თითისტარს აგდებს ბებერი,
არ სთავს მატყლს, აღარც ბამბასა,
ცეცხლს შეუნათა და ბავშვებს
მოუყვა შემდეგს ამბავსა:

II

გურიის ნაპირ სოფლებში
ცხოვრებდა ერთი გლეხია,
სწორეთ იმ ადგილს, აქარის
მთას რომ უდგია ფეხია.

დათია ერქვა სახელათ,
იყო სიმართლის მოყვარე,
ქირში და ლხინში მეზობლის
ძმურად შემწე და მომხმარე.

ლომი, ღვინო და სიმიდი
ქონდა სულ მუდამ მრავალი,
თუმც მისი არც სხვას ემართა,
არც სხვისი ქონდა მას ვალი.

იმისი სავსე ოჯახი
მეზობლებს ეხარებოდა,
მტერებს შეშურდა უზომოთ,
მოყვრებს კი ეხარებოდა.

III

დათიას ყავდა კვეიანი,
სამი „მალხაზი“ ვაყები,
სიცოცხლით სავსე, გულადი,
გაუტყებელი კაყები.

პირველი თექვსმეტის წლისა,
და ორიც მისი მომყოლი,
კვირცხლი კვეიანი, გამრჯელი,
მამის ზნე წესის მიმყოლი.

დათია მთაზე ყანებში
მულამ სიმილსა თესავდა,
მაგრამ დათვები უქცევდა,
შის გულის ასაკენესადა.

ამბობდა: წყეული დათვი
თუ სიმილს შემოეჩვია,
არ დასტოვს ტაროს შეუქმელს
თუ საღმე უჩანს ფოჩვია.

ლამ-ლამით შეიღებს დათია
გზავნიდა ყანის საცავათ,
რომ დათვმა არ დაუქციოს
ნაშრომი გულის საწვავათ.

ყანაში იყო, მალაღზე
წამოქიმილი კარავი,
რომ დაენახათ იქიდან
დათვი შიგ შემომპარავი.

კარავზე ქონდათ ბაწრითა
დაკიდებული ფიცარი,
თავ კვირდ ჯოხს ურაკუნებდენ
მას, ყანის მცველი ვინც არი.

ფიცარზე ჯოხის რაკუნნი
ისმოდა შორე მანძილსა,
ამის ხმით დათვი დამფრთხალი
ვერ ისრულებდა წადილსა.

ერთ ღამეს ჩვეულებრივით
დათიას სამივ შეიღები
მთაში წავიდენ, ვით ყანის
მცველები, გამოცდილები.

სახლში დატოვეს მშობლები,
შვებით და სიხარულითა,
ლადი, დამტკბარი, გულსავსე
შვილების სიყვარულითა.

ნაეახშმევს ჩიბუხსა სწევდა
ამათი მამა დათია,

და დაეკითხა უეცრად
მას მისი ცოლი თათია:

„რა არის ბეჩა დათიავ,
ვის რა წავართვით ჩვენაო,
ღმერთმა კი იცის, მეზობლის
მე არ მინდოდეს წყენაო;

სახლიკაცები რაღაცა
კი გვყავს პაწაი მტრულიათო,
ერთ მილიონად ჩათვლიან,
რომ გვენახონ დაჩაგრულიათო.

ანიკა ქვრივი მემუქერის,
ის ბედით დაჩაგრულიო,
მაშინებს, ჯავრით აღარ ვარ,
შიშით მისკდება გულიო.

იმ ქვრივის მწარე სიტყვები,
როგორ არ გამაკვირვებსო,
რათ მითხრა შენც მალე გნახავ
ქმარშვილზე ანატირებსო?

იმისი შვილი ხომ იცი
ფირალიდ არის გასული,
იმას არა სწამს: არც ღმერთი,
არც მეზობელი, არც სული“...

ამ დროს დათიამ ჩიბუხი
ხელზე დაფერთხა, დასცალა,
ცოლს სიტყვა გააწყვეტინა,
მეტის თქმა აღარ აცალა.

უთხრა: „გაჩუმდი თათია,
ფირალის ნუ გაქვს შიშიო,
თორემ ჩაგყვება სიზმრათ და
შიში აგიტანს ძილშიო.

რაც შეეხება მეზობლებს,
გვემტერებიან თუ რათო,
მულამ ჰყოლია კაცს მტერი
და მოყვარეცა მოყვრათო.

ასეა წუთის სოფელი,
ერთს მეორის აქვს შურაო,
ჩვენ გვინდა პირნათლად ვიყოდ,
მათ სურთ, რომ წაგვცხონ მურიო.

გადავიწეროთ პირსჯვარი,
დავწვეთ და დავიძინოთო,
ლხინს მოგვცემს ღმერთი, ვილხინოთ,
და თუ ჭირს—მოვითმინოთ“.

IV

თათიას ძილი გაუტყდა,
არ ეკიდება ლულია,
თან და თან გაუძლიერდა
ქმარშვილის სიყვარულია.

ფიქრობს: „ჩემს ქმარ-შვილს რომ შე-
ვისმესგან რამე ავიო, [ხედეს
ვედარ მოვითმენ, უთუოდ
უნდა მოვიკლა თავიო.

ასე დიდ ფიქრში გართულსა
ჩასთვლიმა განთიადისსა,

მაგრამ სიზმრებით დატანჯვას
უყურეთ „თათიანი“-სას?

სიზმარში ნახა: ანიკა
დაემუქრა და გაიქცა,
ამ დროს ეზოში უეცრათ
ერთი დიდი ხე წაიქცა.*)

წაქცეულ ხესთან ამოსკდა
სისხლის ტბა, სისხლის მორვევი,
ხე ცურავს, გამოტანა სურს,
არვინ ყავს მისი მომრვევი.

მისი უმცროსი ვაჟები
სისხლის ტბას გადაყურებენ,
შეწუხებული დედა სდგას
შვილები არ უყურებენ.

ამ დროს გამოჩნდა ტბაშივე
ორი ვეშაპი ცოცხალი,

ორსა ვაჟსა და ორს ვეშაპს
შეექნათ ომი ფიცხელი.

რა დაინახა თათიამ
შვილები სისხლის ტბაშია,
შეკივლა ძილში, წამოხტა
და გამოვარდა კარშია.

გამოელევიდა დათიას,
—ქალო, რამ გადაგრიოა?!
შენი კივილი მომესმა,

გლვიდაცს თუ სიზმარიაო?
—„გონჯი“ სიზმარი მეზმანა

ძილში, რომ ვიწვევ ღამეო,
უთუოდ უბედურება
არ აგვშორდება რამეო...

რ. ს.ჯავახიელი.

(შემდეგი იქცება).

*) სიზმარში ხის წაქცევა ეზოში, სოფლელების
ტყუნით დიდი უბედურების მახასწაფებელია.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მგვლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეშავა.

წელიწადი მესამე.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წელს

საეკლესიო და საზოგადოებრივ ყოველკვირეულ გაზ. „შინაურ საქმეებზე“

საბლადოჩინო ოლქს ორი ცალი გაზეთი უფასოდ დაეთმოება ღარიბ ეკლესიებისთვის, თუ ათ ცალს გამოიწერს და ხვედრ ფასს ნახევარს მაინც წინდაწინ წარმოადგენს. სოფლის მასწავლებლებს და მოწაფეებს გაზეთი 3 მანეთად დაეთმოება. გაზეთი არავის გაეგზავნება, თუ ნახევარი წლის გადასახალი დაზღვევისათანავე არ შემოიტანა.

————— გაზეთის წლიური ფასი ყველგან 4 მანეთი. —————

შინაური საქმეები

25 დეკემბერს, 1909 წ. გამოვა **იუმორისტ. ალმანახი ბრანჭი** და მეორე, 1 იანვარს 1910 წ. **უოლტი**

მიიღება დასაბეჭდათ საოზუნჯო წერილები და ლექსები. შემდეგი აღრესით:

Кутаись, типографія „БРАТСТВА“ — „Альманахи“.

Типографія Кутаискаго религіозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Киришова